ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 963 ხუთშაბათი, 8 აგვისტო 1913 № 963

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებითი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიხეილ ალექსანდრეს ძე და თამარ იოსების ასული მოლოდინიშვილები, ნინო ალექსანდრეს ასული და იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 8 აგვისტოს, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი პირველისა და მესამის დედისა, მეორის დედამთილისა, და მეოთხისა—სიდედრის

დარია ივანეს ასულის მოლოდინიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ. 43

ხუთშაბათს, 8 აგვისტოს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ქ. ზუგდიდში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

სამსონ ალექსის ძის კეიდიასი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **მეუღლე ეკატერინე კეიდიასი ქუთათელაძეს ასული და ალექსანდრე სიმონის ძე კეიდია.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ. 1425

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ, მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

8 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება

არაჩვეულებრივი სავარჯიშო წარმოდგენა

ყველა პირვ.-ხარისხოვან მსახიობთა მონაწილეობით. ტფილისში ყოფნის უკანასკნელი დღეები სახელგანთქმულ 3 ეგრის მეფეთა **4 ეშმაკიკისა,** მათ ოინებს განცვიფრებაში მოჰყავს ხალხი. გამოსვლა შეუდარებელი მოჯირითე ბულგარელი **ქალის თამარისა!** გამოსვლა მეზღვაურ ჯამბაზების **თლი და კარპის.** გამოსვლა მუსიკალურ ექსცენტრიკების **ბ-ნნ ბროკარხების.** გამოსვლა ხალხის საყვარლის მასხარა-ხუმარების **ძმ. ვინჩეცოვების,** გამოსვლა კოხტა მიმოხვრით მოჯირითე **ქ-ნ გიზელისა.**

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 539. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

ახალი კლუბი

დღეს, 8 აგვისტოს, ქართველ მსახიობთა მიერ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია, ვოდ. 1 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა.

II) **მონადირე,** ვოდევ. 1 მოქმ. გ. გუნიასი. 1402

ახალი კლუბის

მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს კლუბის წევრთა, რომ ხუთშაბათს, 8 **აგვისტოს 1913 წ. ნაცვლად 19 მაისს არ შემდგარ კრებისა** დანიშნულია მეორედ ახალ კლუბის წევრთა

საზოგადო კრება

საღამოს 8 საათზე, კლუბის საზამთრო სადგომში. კრება თანახმად წესდებისა კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მამასახლისთა საბჭოსი საზამთრო შენობის გაფართოების შესახებ, 2) არჩევანი წევრთა, მუდმივ მოსიარულეთა და მიმდინარე საქმეები. 1403

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქხენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. მ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. მ.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდლოევი მ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ.- **Wasserman.-** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 0 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ტფილისის მეორე კომერციული სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ

მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებებში (I—II), 1 2, 3, 4, 5 და 6 კლასებში დაიწყება **28 აგვისტოდან,** განმეორებითი ეგზამენები კი **აგვისტოს 21 რიცხვიდან.** 7—8 კლასებში არავინ მიიღება. სწავლა **დაიწყება 2 ენკენისთვეს.**

ადრესი: პანასევიჩის ქ., № 38, ტელეფ. № 310. 525

ახალი წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თაყაიშვილ. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდაროვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

პონდოევი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ატენაცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

კბილის **ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ექიმი მ. მუსხელიშვილი 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა **№ 67.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან- ავადმყ. 9½—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1035

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე. ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მიასკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რეჩს“ მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, რომ ბაქოს ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა გაფიცვაში არ ჩაერიოს, რადგანაც გაფიცვას ეკონომიური ხასიათი აქვს და მეორე მხრით კი ბაქოს ფირმებს უკრძალავს ბჭობა იქონიოს მუშათა მომრიგებელ კომისიების შესახებ, რაც მუშათა მოთხოვნილების ერთ ერთ მუხლს შეადგენს. მეორე მხრით კი ლოძის ადმინისტრაციამ გაფიცვების ბოლოს მოღება იმით მოისურვა, რომ გაფიცვაში ჩაერია.

„ეს რჩევა“, ამბობს გაზეთი—„შეუძლებელია შემთხვევითი მოვლენად იქნას აღიარებული და ამა თუ იმ ადგილობრივ ადმინისტრატორს მიეწეროს. აქ ცხადად სჩანს ყველაზე უფრო შესამჩნევი და შესანიშნავი ხასიათი ეხლანდელ გაფიცვებსა, რომელმაც მოულოდნელად ისეთი დიდი ზომები მიიღო, რომ ოფიციოზებსაც კი ვერ გაუბედნიათ იგი ერთიან „წაქეზებას“ მიაწერონ“.

გაზეთის სიტყვით ვერც ლენისებური ზომები, ვერც მუქარა და ვერც ადმინისტრაციის საქმეში ჩარევა საკითხს ვერ გადასწყვეტს. გაცილებით უმჯობესი იქნებოდა მუშებისათვის კავშირებისა და კრებების უფლებები მიენიჭებინათ. მაშინ ისინი თავისუფლად გამოსთქვამდნენ თავის აზრს, თავის მოთხოვნილებებს. ადვილად შეიძლებოდა [illegible] და მრეწველთა შორის შეთანხმება; ეს ყველაფერი ძალიან სადა და ადვილი ზომაა.

„მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ასე „ადვილია“ და სადა, ძნელი ასასრულებელია, თითქოს შეუძლებელიც ძველი რეჟიმის „მოღვაწეთათვის“; ეს მოღვაწენი დღესაც ისევ გრძნობას ჰკარგავენ, როგორც კი მუშათა ფურცლებს დაინახვენ, სადაც სოციალ-დემოკრატიის შესახებ რამე სწერია. დროა ამ ნერვებ-აშლილობისაგან განთავისუფლება“.—დასძენს „რეჩ“-ი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ ამას წინად სამეურნეო ჟურნალ „მოსავლის“ რედაქციამ ქიზიყიდან **თამბაქო** მიიღო საკომისიოდ გასასყიდად. რედაქციამ თავის აგენტების საშუალებით ერთი პარტია თამბაქოსი უკვე გაჰყიდა კარგს ფასად ლონდონის ბაზარზე.

◆ **ფერისცვალება.** 6 აგვისტოს დარიის ფერისცვალების მონასტრის ეკლესიამ თვისი დღესასწაული იუქმა. ამ დღეს მწირველი იყო მონასტრის წინამძღვარი, გორის ეპისკოპოსი ანტონი. მონასტერს, როგორც ამ დღეს, ისე წინა ღამით, მრავალი ხალხი მიაწყდა. იყვნენ ღამის მთევლნიც.

◆ **შიოევისეულ სახლის** გადაკეთების გამო გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილემ თ-დმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ხელმეორედ სთხოვა გუბერნატორს, დააჩქარებინოს მეფის მოადგილის სამართველოს სატეხნიკო სათათბიროს შიოევისეულ სახლის გადაკეთების პროექტის განხილვა.

◆ გზათა მიმოსვლის სამინისტროს განუზრახავს, მოკლე ხანში მოაწყოს საგანგებო **ვაგონი—საყინულეები** ტფილისიდან მოსკოვსა და პეტერბურგში ხილისა და სანოვაგის გადასატანად.

◆ **მიხეილ წერეთლის ვრცელი გამოკვლევა** ქართული და სუმერული ენების შესახებ ამ მოკლე ხანში გამოვა ინგლისურ ენაზე. ავტორს განზრახვა აქვს იგივე გამოკვლევა ქართულად გამოსცეს. როგორც მკითხველებმა იციან ამ გამოკვლევის შემოკლებული შინაარსი კრებულ „გვირგვინში“ დაიბეჭდა.

◆ **საზაფხულო დღესასწაული.** 5 და 6 აგვისტოს სახალხო გასართობთა საზოგადოებამ მუშტაიდში სეირნობა გამართა, რომელსაც უწოდა „საზაფხულო დღესასწაული“. სეირნობას ხალხი ძალიან ბევრი მიაწყდა, განსაკუთრებით 6 აგვისტ., რადგანაც ამ დღეს დღესასწაული იყო. იყო საბავშვო გასართობები, მუსიკა, უფასო სინემატოგრაფი, შუშხუნები და სხვ. ბაღში შესვლა უფასო იყო, მაგრამ ბაღიდან აყარებული ხალხი, განსაკუთრებით მდაბიო, ჯიბე-ცარიელები გამოდიოდნენ, რადგანაც ჩვეულებრივ გამართული იყო ბაღში სხვა და სხვა სათამაშო, სადაც ფულს აგებდნენ. მგონი დროა, ერთხელ და სამუდამოდ დაანებონ თავი ამგვარ „გასართობთა“ მოწყობას სეირნობათა გამმართველებმა.

◆ **ჟურნალისტი ლევან ყიფიანი** ამ ჟამად ისევ არამიანცის სახელობის საქალაქო საავადმყოფოში წევს. მას ხელმეორედ გაუკეთეს ოპერაცია.

◆ **სასოფლო მეურნეობა.** 6 აგვისტოს ტფილისს დაბრუნდნენ ვ. ი. რცხილაძე და პ. გ. მელია, რომელნიც ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დავალებით წასულნი იყვნენ ქართლის რაიონის აგრონომე, კარბელაშვილის ნამუშევრის დასათვალიერებლად. მათ ნამუშევარი საერთოდ მოსწონებიათ.

◆ **ბიბლიოთეკა.** ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებას გუბერნატორმა ნება დართო შეინახოს გორში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ი. დ. კვალიაშვილის პასუხისმგებლობით.

◆ **საბირჟო ცნობები** 7 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან. 15 კ., აძლევდნენ—84 მან. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. 20 კ., აძლევდნენ—82 მან. 75 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—81 მან., აძლევდნენ—80 მან. 20 კ., სახელმწიფო მოგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—485 მან., მეორისა—354 მან. და მესამისა—314 მან.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **რუსეთის მეხილეობის ამიერკავკასიის განყოფილებაში.** განყოფილების საბჭოს კრებამ, რომელიც ამ დღეებში მოხდა, დაადგინა, ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შემწეობით გამოიწეროს ამერიკიდან ერთგვარი მანქანები, რომლითაც ხეხილსა და მცენარეებს წამალს უსხურებენ ხოლმე ყანასიცვეებისაგან დასაფარავად. ამ მანქანების ხმარებას ამერიკაში მეტად კარგი შედეგი მოჰყოლია.

განყოფილებას ხილეულის მეორე გამოფენა-იარმუკაში მონაწილეობის სურვილს მრავალი მეურნე უცხადებს.

◆ **ავლაბარში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის** წევრთა წლიური კრება 4 აგვისტოს დაიწყო მურაშკოსეულ თეატრში. კრებამ ანგარიშის განხილვა მოასწრო, ხოლო დანარჩენ საკითხთა განხილვა 11 აგვისტოსთვის გადასდო.

რკინის გზებზე

◆ **მატარებლების დაჯახება.** 5 აგვისტოს, დილის 9 საათზე, საქონლის მატარებელი № 258, რომელიც ქსანიდან გამოვიდა, მცხეთის სადგურზე მატარებელს № 261 დაეჯახა. დაიმსხვრა ორივე მატარებლის ოთქლმავლები და ოცამდე ვაგონი. ადამიანთა მსხვერპლი არა ყოფილა.

ბორჯომი

◆ **საქველმოქმედო საღამო.** 4 აგვისტოს პარკში საღამო გაიმართა ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ბორჯომის განყოფილების სასარგებლოდ. საღამოს გამგედ იყო ქ-ნი კლდიაშვილისა. საღამოს, რომელიც მრავალ მხრივ პროგრამით იყო შედგენილი, დიდძალი ხალხი დაესწრო. პარკი განყოფილებას ამ დღეს უფასოდ დაუთმეს. მთელი შემოსავალი 1,250 მან. აღემატება. **ხარჯი ჯერ** გამოურკვეველია. ჰფიქრობენ, ნაღდი მოგება 700 მანეთამდე იქნება.

აბასთუმანი

◆ 3 აგვისტოს აბასთუმანისა და ქობლიანის სახაზინო **ტყეს ცეცხლი გაუჩნდა.** ცეცხლი 200 დესეტინაზეა მოდებული. ცეცხლს მცხოვრებნი და **ჯარი** აქრობს, მაგრამ არა გამოდის-რა.

ქუთაისი

◆ ჩვენი სეზონის საქმე გაუმჯობესების გზას დაადგა. რეჟისორად მოწვეულია ბ-ნი წუწუნავა. დასში მონაწილეობის მიღება აღუთქვამს ქ-ნმა ნინო დავითაშვილმა, ბ-ნმა ზარდალიშვილმა და სხვებმა.

თვით თეატრის დარბაზში სასიამოვნო ცვლილება მოახდინეს. პარტერის სკამები, რომლებიც მაყურებელს ბედს აწყევლინებდნენ, გამოს-

ცვალეს და მათ მაგივრად დასდგამენ ახალ სკამებს.

◆ ძველი სენაკის ქართული გიმნაზიის განყოფილების ადმინისტრაცია, 6 აგვისტოს, სკოლის შენობაში წარმოდგენას ჰმართავს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ნინო ჩხეიძე და მ. ქორელი. წარმოდგენის შემოსავალი შენობის დამთავრებას მოხმარდება.

◆ ერთ ხანს სადგილ-მამულო ბანკსა და აზოვ-დონის ბანკს შორის ყოველგვარი ოპერაციები მოსპობილი იყო. ეხლა, როგორც გავიგეთ, ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებათა შორის დამოკიდებულება განახლებულა.

◆ ბუნების მოყვარულთა საზოგადოების გამგეობა ენერგიულად შეუდგა მუზეუმის დაარსებას;—როგორც შევიტყეთ, გამგეობას დიდძალი მასალა შეუგროვებია და შემოდგომიდან მუზეუმი მოქმედებას დაიწყებს.

◆ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობას საკრედიტო კანცელარიის წინადადება მოუვიდა, რომ ბანკის არსებულ რაიონ'ში მყოფ ქალაქებში გამოიკვლიოს ადგილებისა და შენობების ნორმალური ფასები რაიონების მიხედვით. გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის შეერთებულმა კრებამ გადასწყვიტა: ნორმალური ფასების გამოკვლევა დაიწყოს იმ ქალაქებიდან, რომლის გეგმები არსებობს, ხოლო ფასების გამოკვლევას საფუძვლად დაედოს ის მასალები, რომელიც ხელთ აქვს ბანკს, უკანასკნელი სამი წლის გირაოდ მიღებულ მამულის შეფასების დროს.

◆ შავი ქვის მრეწველთა საბჭო და სტიპენდიების განმანაწილებელი საგანგებო კომისია სტიპენდიების და ერთდროულ დახმარებათა გასანაწილებლად აგვისტოს დამლევს შეიკრიბება. თავისუფალია 300 მანეთიანი სტიპენდია—6 და 600 მანეთიანი—ერთი. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სტიპენდიის მსურველთა რიცხვი მრავალია.

◆ მევენახეობასა და მეღვინეობის კომიტეტს მიუღია საკრედიტო ამხანაგობათა საგუბერნიო კომიტეტის წინადადება, რომ გამოიკვლიოს— თუ რა მხრით შეუძლიან დაეხმაროს წვრილი კრედიტის ამხანაგობის წევრებს, როცა მათ ეძლევა მოკლევადიანი სესხი ვენახების განსაახლებლად ამერიკული ვაზით.

როგორც გავიგეთ, მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტს ტეხნიკური რჩევის მისაღებად ვენახების გაშენების დროს წვრილი კრედიტის ამხანაგობათა მმართველებმა დ ცალკ-ცალკე წევრებმა უნდა მიმართონ კომიტეტის უფროს სპეციალისტს, ინსტრუქტორებს, საქარის სანერგეს, საცდელი მინდვრის გამგეს ს. კულაში და სხვებს.

შეცდომის გასწორება. სამშაბათის „სახ. გაზ." (№ 962) ფელეტონის მესამე სვეტის თავში ქვესამე სტრიქონ'ში კორექტურული შეცდომაა; დაბეჭდილია „**პოლიტიკური** იერარქიის"... უნდა ყოფილიყო „**პოლიციური** და სხვ."

ჩვენში და უცხოეთში

ქალაქის სიცხე იმდენად ძვინვარებს, რომ მუშაობა აუტანელი ხდება. რასაკვირველია, ტფილის'ში მყოფნი ციურ მახარასავით მოელიან კვირა-უქმე დღეების მოახლოვებას, რათა გასცილდნენ აქაურ სიცხე-პაპანაქებას და ერთი დღით მაინც დასტკბნენ სოფელ-აგარაკების ხშირი ჰაერით.

კვირა დილით მეც გავემგზავრე ქალაქ გარედ, მაგრამ შორს წასვლა არ მომიხდა. მცხეთის სადგურზე მატარებლიდან გადმოვედი და ნაცნობ მოაგარაკეებისაკენ გავემართე. ეზოდან ახალგაზრდათა სიცილ-ხარხარი მომესმა. აგარაკის ვეებერთელა ეზოში ჩემი მეგობრები დროს ატარებდნენ და მხიარულებდნენ: მათ შორის მოსჩანდა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი ორი მაღალი, მოსული ახალგაზრდა. ესენი ხატახტართან დაბანაკებულ ჯარიდან ჩამოსულიყვნენ და მცხეთელ ნაცნობებთან დროს ატარებდნენ. უცნობთა ქცევა, სახე და ლაპარაკი მათში უცხოელებს ამჟღავნებდა. მართლაც, ისინი ესტონელები გამოდგნენ. ესტონელები ძმები იყვნენ, ბარონები და მემამულეები. მე და უმცროსმა ძმამ თითქმის მთელი დღე ერთად გავატარეთ. იმისაგან გავიგე, რომ უფროს ძმას რიგის პოლიტეხნიკუმის სასოფლო-სამეურნეო განყოფილება გაუთავებია, უნცროსს კი—იქაური გიმნაზია. ისიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აპირებს შესვლას.

ორივენი სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაუწვევიათ და ამისათვის ორთავეს კავკასია უმჯობინებიათ.

ქალებსა და მხიარულ „კამპანიას" ჩამოვშორდით და ჩვენ ორნი ბაასში ისე გავერთეთ, რომ მთელმა დღემ შეუმჩნევლად გაიარა. ალბად ბევრს დააინტერესებს რა თემა გავიჩნდა ასეთი საინტერესო; ეს თემა გახლდათ მეურნეობის ეხლანდელი მდგომარეობა ესტლიანდიაში და ჩვენში. ესტონელი იმდენად გატაცებული იყო თავისი ქვეყნის მეურნეობით, რომ სიხარულით მიამბობდა ყველაფერს, როგორც თავის საკუთარ მეურნეობის შესახებ, ისე საერთოდ. მე კი მისმა ნაამბობმა იმდენად დამაინტერესა და გამიტაცა, რომ განშორების ხანს დიდი მადლობელი ვიყავი მისი.

— არ შევსცდით, სამსახურისათვის რომ კავკასია ავირჩიეთ. აქ იმდენი უცხო რამე ვნახეთ და იმდენიც სანახავი გვაქვს, რომ ჩვენს სიცოცხლეში ვერა ვპოვებდით ასეთ სიამოვნებას (მათ ჯერ მხოლოდ თუქურმიშა, ტფილისი, მცხეთა და ნატახტარი ენახათ).

რასაკვირველია მე ღიმილი მომივიდა და ავუხსენი, რომ ის, რაც მათ უნახავთ, ათასწილად ნაკლებია დანარჩენ საქართველოზე.

— ეჰ, ასეთი მიწები რომ ჩვენში იყოს, ბედნიერები ვიქნებით. ჩვენი ხალხი ასეთს ბუნებას მხოლოდ სიზმარში თუ ნახავს, ან სურათებზე. მაგრამ აქ საოცარი პრიმიტიული სისტემა ყოფილა მეურნეობაში. ერთი რამ ხელოვნური სასუქი არც კი იციან რა არის, ხნავენ და ამუშავებენ მიწას რაღაც პრიმიტიული იარაღით; ჩვენში კი, სანამ მიწას მოვხნავდეთ, ამ მიწის გაკეთება გვიხდება. აუარებელი ქვა, ქვიშა და ჭაობები შეუძლებლად ხდის მეურნეობას ჩვენში, თუ კაცი არ გასწმენდს, არ გაასუფთავებს და არ გაანოყიერებს მიწას; მე და ჩემმა ძმამ ჩვენს მამულში ოთხი დესეტინა ჭაობი ამოვაშრეთ, ზევიდან მიწის პირი ხელოვნურად გავაკეთ და ხელოვნური სასუქის წყალობით ეხლა მშვენიერი ბაღები და სახნავი მიწები გვაქვს, როგორც კი სამსახურს გავათავებთ გავსწევთ ჩვენს მამულებში და შევუდგებით მუშაობას".

ეს სიტყვები მან ისეთის სიყვარულით წარმოსთქვა, რომ მე ვერ მოვითმინე და შევეკითხე:

— ნუ თუ ესე გიყვართ მეურნეობა?

მან გაკვირვებით შემომხედა და თავის მხრით მკითხა:

— განა შეიძლება კაცს არ უყვარდეს თავისი მამული, მისი გამშვენიერება, იქ მუშაობა?

მე თვით შემრცხვა ჩემი კითხვისა და ბაასი სხვა საგანზე გადავიტანე. ჩემმა მობაასემ გამაცნო იქაური ახალგაზდობა. ოთხი მეხუთედი, თუ მეტი არა, სპეციალურ სასწავლებელში შედის, უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო კურსებზე. ჩამომავლობითი არისტოკრატები ისევე მუშაობენ, როგორც გლეხები; მემამულეები ვერ იტყვიან, რომ ჩვენსავით კარგი და დიდი მიწები ჰქონდეთ. მაგალითად მდიდარი მემამულეა იქ მცხოვრები, თუ 50—100 დესეტინა მიწა აქვს. ამაში ნახევარზე მეტს ჭაობი, ქვიშნარი ან სხვა რამ შეიცავს, და ბევრი წვალებაა საჭირო მისი გამოყენებისათვის, გლეხებში ბევრია ისეთი, რომელსაც მხოლოდ 4—8 დღიური აქვთ, მაგრამ შეძლებულად სცხოვრობენ და სხვა...

ვბრუნდებოდი ტფილისისაკენ და ფიქრებმა გამიტაცა. გამახსენდა „ქართულ სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო კურსებზე" დ. ვაჩნაძის მიერ წაკითხული ლექცია. გამახსენდა მის მიერ დარიგებული სურათი დანიელების 8 კაცისაგან შემდგარი მთელი ოჯახისა, რომლის ავლა-დიდებას მხოლოდ ერთი დღიური შეადგენს და რომელიც ამ ერთი დღიურით თავს კარგად იკვებავს და ჩვენებურ გლეხებზე გაცილებით უკეთესად სცხოვრობს. ნუ თუ ჩვენ, ქართველებს, არ შეგვიძლიან უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება? ნუ თუ ჩვენ უნდა მივატოვოთ სოფლის ადგილ-მამულები, ლაღი ბუნების მიერ ბოძებული სიმდიდრე და კანცელიარიების მტვერში უნდა ამოგვხდეს სული?

საბედნიეროდ ეს ფიქრები არ მომსვლია თავში ესტონელთან საუბრის დროს, თორემ სამურ ბაასს მომიშხამავდა და იძულებულ ვიქნებოდი ჩემი მობაასესათვის უდროოდ გამენებებია თავი. ეხლა კი მინდა მკითხველებს გავუზიარო ის, რაც მუდამ უნდა გვახსოვდეს, მაგრამ, მუდამ დავიწყებული გვაქვს: საქართველოს ეკონომიური მონობიდან ხსნა, ქართველი ერის კეთილდღეობა სოფელშია, იქით უნდა იყოს მიპყრობილი ჩვენი ინტელიგენციის თვალყური, შას უნდა მოვახმაროთ სთელი ჩვენი ენერგია და ძალ-ღონე. გამოგვეცლება სოფელი—და ჩვენ აღარ ვიარსებებთ. მიუხედავად იმასა, რომ ჩვენმა მოქეიფე თავად-აზნაურობამ დიდი ნიჭი გამოიჩინა ადგილ-მამულების დაყიდვაში და ამით აღებულ ფულის გაფლანგვაში, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სოფლები ჯერ კიდევ ქართველების ხელშია. ასეა თუ ისე, არც ერთ მხარეს არ მოიპოება ისეთი გლეხი, რომელსაც რამდენიმე დღიური არა ჰქონდეს. ინტელიგენციის მოვალეობაა ხალხს სამსახური გაუწიოს და ასწავლოს, თუ როგორ შეიძლება ორიოდე დღიურიდან წლიურ სარჩო-საბადებლის აღება. თუ უცხოეთში მიწების გასაუმჯობესებლად აუარებელი ხელოვნურია საჭირო, საქართველოში იმის მეოთხედიც არ დასჭირდება, თუ კი პრიმიტიული დამუშავება გადავარდება და მას ადგილის რაციონალური მეურნეობა დაიჭირეს. მხოლოდ ჯერ-ჯერობით ჩვენი ინტელიგენცია მეურნეობისათვის მოუმზადებელია. თუ ორიოდე პირი არა, ჩვენი საქმე წყალ წაღებული იქნებოდა. მოსწავლე ახალგაზრდობაც ისე უყურებს მეურნეობას, როგორც პატრიცეები პლებეების მუშაობას. ამიტომ ჩვენში ძვირად მოიპოვება აგრონომები და ინსტრუქტორები. და თუ მოიპოვება თავის მამულში კი არ მუშაობენ, არამედ სხვისაში ჯამაგირის გულისათვის. ეს არის მიზეზი, რომ სასოფლო-სამეურნეო დარგში მოღვაწენი ძლიერ ცოტანი გვყვანან. მთელ საქართველოს მათი ნამუშევარი სამაგალითოდ ვერ გასწვდება. ამ მხრით დიდ სამსახურს გაგვიწევს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, როდესაც საკმაო უზრუნველყოფილნი მატერიალურად, შესძლებენ საქართველოს მრავალ რაიონებად დაყოფას და ყოველ რაიონში აგრონომებისა და ინსტრუქტორების ყოლას, ჩვენ, დანარჩენები, რომელთაც პრაქტიკული მუშაობით დახმარების გაწევა არ შეგვიძლიან, მოვალენი ვართ მორალურად და მატერიალურად მაინც შევუწყოთ ხელი ასეთ საზოგადოებების მოქმედებას: თუ სხვა რამით არა, საწევრო გადასახადი მაინც რომ გავიღოთ სოფლელის ყოველმა მოჭირნახულემ საკმაო დიდი თანხა შესდგება. შეიძლება ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა უნივერსიტეტისა და ისეთ სასწავლებლების ბურუსიდან გამოერკვეს და სწორედ ისეთი სასწავლებლებისაკენ გაიწიოს, რომელიც უსაჭიროესია ჩვენთვის ეხლანდელ მდგომარეობაში.

აგრეთვე გამოიძებნება სხვა ზომები, რომლის შემწეობით ცოტათი მაინც დაუახლოვდება ჩვენი ახალგაზდობა ესტონელ ახალგაზდობის იდეალს. მაშინ ადვილი შესაძლებელია ბევრი ახალგაზრდა ისეთი გატაცებული იყოს ჩვენი მეურნეობისადმი სიყვარულით, როგორც ჩემი ნაცნობი ესტონელი, ისეთივე საუცხოვო მოსაუბრე იყოს, როგორც იგი და ისეთივე ალტაცება გამოიწვიოს ჩვენში, როგორც ესტონელმა.

კორდელი.

საუბარი მევენახეობაზე

ოცი წელიწადია, რაც ვმუშაობ თუ საკუთარ მამულში, თუ სხვასთან ქუთაისის გუბერნიაში მევენახეობის ამერიკულ საძირეზე ასაღორძინებლად, ასე რომ მაქვს გამოცდილება და დაკვირვება ამ საქმეში. ეხლა ვფიქრობ, ყველაფერი ეს შეძლებისდაგვარად მკითხველებსაც გავუზიარო.

ჩვენებურმა ვაზმა შეიძლება ივაროს სხვა და სხვა კლიმატიურ პირობებში და გაშენდეს სხვა და სხვა მდებარეობისა და ნიადაგის ადგილებში.

ყოველი მევენახისთვის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ადგილის გამოძებნა ვაზის გასაშენებლად; არ უნდა დაივიწყოს, რომ ამ ადგილზე მთელი ათეული წლების განმავლობაში უნდა აწარმოოს განსაკუთრებული კულტურა ვენახისა. უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი შეცდომა, პირველ ხანებში დაშვებული, შემდეგშიაც დაღს დაასვამს მთელს მის მოქმედებასა და ყოველთვის იჩენს თავს. შემდეგ ძალიანაც რომ მოისურვოს, ძნელია ამ შეცდომების გასწორება და ყოველგვარ ახალ გასწორებას თან მოჰყვება მნიშვნელოვანი ხარჯები და თითქმის ყოველთვის მაინც რჩება დიდი შეცდომების პატარა გაუსწორებელი შედეგები. სავენახე ადგილის გამოძებნის დროს თავი და თავი ყურადღება ადგილის მდებარეობას უნდა მიექცეს — უნდა გათვალისწინებული იქმნას მისი საზეადაგო პირობები. თუ ადგილი ნესტიანია, იგი უვარგისია სავენახეთ—ან უნდა გააშროთ იგი როგორმე, თუ სინესტე ჭაობითაა გამოწვეული. განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ უნდა მიექცეს ამას, რომ შემდეგში ადგილის გამოცვლა ვენახისათვის აღარ შეიძლება. არც საზეადაგო პირობებია ადვილი დასამორჩილებელი.

ვენახების გაშენება შეიძლება მთების კალთებზე, კორდებზე, ტრიალ ველებსა და მდელოებზე, მაგრამ ადგილი ვენახისთვის აღარ შეიძლება დაგვერდებულ ადგილზე უკეთესი, განსაკუთრებით თუ ეს ადგილი სამხრეთისაკენა ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა გადახრილი, ან კიდევ აღმოსავლეთით. თუმცა ფერდობებზე ზეადაგი ისე ნაყოფიერი ვერა არის, როგორც ტრიალ ველებზე, მაგრამ ისინი თითქმის ყოველთვის აკმაყოფილებენ ცოტას დამჯდარ ვაზებს, განსაკუთრებით თუ მევენახეც არ აკლებს ხელს მოვლა-პატრონობით, 3—4 წლის განმავლობაში და ცოტ-ცოტაობით სასუქს აძლევს ვენახს. თუმცა ფერდობებზე ნაყოფიერება ისე სახარბიელო ვერ არის, მაგრამ სამაგიეროდ ვენახი უკეთეს პირობებში იმყოფება მზიანი ადგილის გამოისობით: ზეადაგი საკმარისად თბება და ყურძენიც ყველა მწიფდება თავის დროზე, რისთვისაც თვისი ღირსებით აქ დაწურული ღვინო ათას წილად სჯობს დაბლობ ადგილზე მოყვანილ ღვინოს. რა ვუყოთ რომ ნაყოფიერება დაბლობი ადგილების ვაზებისა სჯობია, სამაგიეროთ ღირსება მაღლობი ადგილის ღვინის დაუფასებელია. აი ის სენი მაგალითად, ფილოქსერას რომ ეძახიან, მთიან ადგილებში ძვირად უჩნდება ვაზს, არც ყურძენი ლპება და არც სხვა რამ სენი უჩნდება ადვილად.

ჩრდილოეთის ფერდობები არ არის გამოსადეგი ვენახისათვის; ცხელი ქვეყნის ასეთ ადგილებს ის ღირსება აქვთ, რომ ვაზის ყლორტები გვიან იფურჩქნებიან და, მაშასადამე თავიდან იცილებენ გაზაფხულის ჰავის ცვალებადობას, დღეში რომ ცა ათასჯერ მოირთვება და ისევ მოიღუშება. თუმცა საზოგადოდ ამ ფერდობებზე ყურძენი გვიან მწიფდება და შაქარის ცოტა აქვს, რისთვისაც ღვინო მისგან მდარე დგება.

მცირე ნაყოფიან კორდებზე საუკეთესო ვაზის გაშენება შეიძლება, თუ ადგილი საკმარისად თბება მზით და არც ისე მაღლობზე; მერე კიდევ თუ ადრე დასამწიფებელი ვაზი მოშენდა, მისი განვითარება და ნაყოფიერება საკმარისად დამაკმაყოფილებელი იქნება. ვაზის ავადმყოფობათა და ყურძნის მარცვლების სიდამპლისაგან დასაფარავად ეს ადგილი საუკეთესოა. ღირსებით ხომ სჯობიან და სჯობია მთიანი ადგილის ღვინო ჭალისას.

ჭალებში, მთიან ადგილებთან შედარებით, ზეადაგი უფრო ნაყოფიერია და საკმაო საზრდოს აძლევს ვაზს, რისთვისაც ის უფრო ძლიერ ღონიერი იზრდება. თუ ვაზი შერჩეულია ზეადაგის შემადგენლობის მიხედვით, იგი იძლევა ძალიან დიდ მოსავალს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როცა ლერწები არაა შერჩეულ-შეთანაბრებული მიწის ნივთიერ შემადგენლობასთან, ვაზი, რაც უნდა ღონიერად იზრდებოდეს, მაინც მცირე-ნაყოფიერია და შეიძლება დაავადმყოფდეს კიდეც. მზიანი ადგილები ჭალაში უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინემ მთაში: ვაზის მძლავრი ზრდა ჭალაში უხშობს ამ დროს მას ჰაერს, ფილოქსერა უფრო დაჟინებით ვითარდება. დამწიფების უკანასკნელ ხანში, თუ ამინდი წვიმიანია, ყურძენი ლპება. საზოგადოდ ღვინო მდარე დგება, არა ისეთი, როგორიც მთიან ადგილებში.

შეუდგება თუ არა სავენახე მიწის დამუშავებას, მევენახეს უნდა ახსოვდეს, რომ ვაზი იზრდება ღრმად ფესვებგადგმული, რისთვისაც იგი უნდა ჩაეყაროს ღრმად გადაბარულ მიწაში, რომ განვითარება თანაბარი და ძლიერი ექნეს, და რომ მისი ნაყოფიერებაც საადრეო, ბევრი და და ხანგრძლივი იყოს. სავენახეთ დანიშნული უსათუოდ გადაბრუნებული უნდა იყოს. ეს საშუალებები მიწის დამუშავებისათვის ყველასთვის ცნობილია და ზედმეტი იქნება ამაზე საუბარი, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ დროს ყოველნაირი ქვები და ხის ძირები დამუშავებულ ადგილისკენ არ უნდა გადაისროლოთ, არამედ უნდა გადაყაროთ დაუმუშავებელზე და მუშაობის გათავების შემდეგ აქედანაც გადაიტანოთ. გულდასმით უნდა ამოზიდოთ მიწიდან ხის ფესვები მიწის გადაბრუნების დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფესვები მიწაში დალპება, რისგანაც შეიძლება ავადმყოფობა განვითარდეს, რომელსაც სახელად „ფესვების სიდამპლე" ჰქვიან და რომლისგანაც აუცილებლად დაიღუპება ახლად ჩაყრილი ვაზი. გადაბრუნებულ ადგილში თუ ბევრია წვრილი ქვები, სრულიადაც არ მოითხოვს საჭიროება მათ გაშორებას.

ქუთაისის გუბერნიაში უკანასკნელი წლების დაკვირვებამ დამანახვა, რომ იშვიათ შემთხვევების გარდა მიწა უნდა გადაბრუნდეს 12 გოჯიდან 1 არშინამდე. სულ სხვაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი უნაყოფო და სრულიად მწირია, თუ არ შეუძლიან ნაყოფიერი იყოს სხვა და სხვა გარეგან მიზეზებისა გამო: ჰაერის, მზის, წვიმის და თოვლის, წყლის, ყინვისა და სხვ. ან მაშინ, თუ ცარციან და კირნარ მიწაში ბლომადაა ეს ელემენტები, მაშინ უნდა გადაბრუნდეს მხოლოდ ზედა პირი, 3—4 გოჯზე, და შეძლებისდაგვარად უნდა დაამპოთ. ძალიან კირ-ნარევ მიწაში ვაზის მოშენება ძნელია, აქ ჩაყრილი ლერწი თითქმის ყოველთვის ქლოროზით ხდება ავად, მცირე ნაყოფიერია და ძაბუნდება. იქ, სადაც ძალიანი ფერდობების გამო შეიძლება მიწის ჩამოცურება, ვაზი უნდა ორმოებში ან თხრილებში იქნას ჩარგული, ამისათვის წინდაწინვე უნდა განწმენდილ იქმნას ადგილი ყოველ გვარ ხე-ტყის ნაშთებისაგან, ჯერ ერთი ბარით უნდა გადაიბაროს ადგილი ასე 3—5 გოჯი. და შემდეგ უნდა მოთხარდეს ორმოები 1 ალაბის სიღრმით, თხრილებს ამოიღებთ განწვრივ 20 გოჯი სიგანით და 12 გოჯის სიღრმით და უსათუოდ დაფერდების შეყოლებით. ამგვარად ჩაყრილი ვაზი ყოველთვის მეორე წელზედა 3—4 წლის მიყოლებით ზეადაგის სიმჭიდროვისდა მიხედვით ეჩვევა ადგილს და ბოლოს მოსავალსაც იძლევა.

დამუშავების გათავების შემდეგ, თუ მოსახერხებელია, წინადაც, სავენახე ადგილი შემოღობილი უნდა იქნას, ამით ათავებს მევენახე ყველაზე უფრო მძიმე მუშაობას. მას რჩება მხოლოდ ზეადაგის შესაფერი საძირის შერჩევა, ვენახის ჯიშის გამორკვევა და დასარგავ ვენახებს შუა მანძილის გამოანგარიშება. (ს. გ.)

ვანი.

ბიბლიოგრაფია

„**ძველი საქართველო**" საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი II.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის ფასი იმ მშვენიერ გამოცემათა, რომელსაც იღებს საისტორიო საზოგადოების ყოველი წევრი და რომელსაც „საზოგადოების კრებული" ჰქვიან ამ ძვირფას გამოცემებში, რომელსაც ცხადათ ატყვია ბ. **ექვთიმე თაყაიშვილის** დიდი ენერგია და ხელი (წიგნები გამოდის ბ. თაყაიშვილის რედაქტორობით) მოთავსებულია ისეთი მასალა, რომლის ყოველი სტრიქონი, ყოველი ასო ურყეველი საბუთია და ჩვენი ისტორიისათვის ძვირფასს განძს შეადგენს. მეორე ტომიც კვლავინდებურად საუცხოვოდ არის შედგენილი და გამოცემული. წიგნი ხუთ ნაწილად განიყოფება. პირველი ნაწილი მიძღვნილია საზოგადოების განსვენებულ წევრების ხსოვნისადმი, რომელთაც ახლერში არ დაივიწყეს საზოგადოება; ამ განყოფილებაში დასტამბულია: მიხეილ თამარაშვილის, დავით სარაჯიშვილისა და ნიკოლოზ ლოლობერიძის ბიოგრაფიები. ბიოგრაფიებში ჩართულია აგრეთვე მათი მშვენიერი ფოტოტიპები.

მეორე განყოფილებაში მოთავსებულია საზოგადო კრებებზე წაკითხული რეფერატები: **ს. გორგაძისა:** „საქართველოს ისტორიის მიმოხილვა", ნაწილი II, თავი 2 და 3; ეს წერილი გაგრძელებაა I ტომში მოთავსებულ შრომისა; **თავისუფალ სვანისა** (ფსევდონიმია): „მოკლე მიმოხილვა სვანურ გრამატიკისა"; მღვ. **პ. კარბელაშვილისა:** „ამილახორების საგვარეულო ისტორიული გუჯარები"; განსვენებულ **თარხან დადეშქელიანის**—„შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტამირსა".

მესამე განყოფილება შესდგება სალექსიკონო და საისტორიო მასალისაგან. ამ განყოფილებაში მოთავსებულია ეპისკოპოზ **კირიონისა და ე. თაყაიშვილის** „მასალები". ეპისკოპოზ კირიონს მრავალი ისეთი სიტყვა შეუგროვებია, რომელნიც ნაბეჭდ ქართულ ლექსიკონში არ მოიპოვება. ამიტომ ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეძლებას გვაძლევს შესაფერისად შევსონ ქართული ლექსიკონი. ექვთიმე თაყაიშვილს ხუთი წერილი აქვს დაბეჭდილი, რომელნიც წარმოადგენენ სრულიად ახალს, ჯერ უცნობ მასალას საქართველოს ისტორიისას. ამ წერილებში ბ-ნი თაყაიშვილი ეხება: „რას შეიცავდა ეგრედ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავისი იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში". ბ-ნ თაყაიშვილის აზრით, დოსითეოსის ცნობები სიტყვა-სიტყვით ნათარგმნია ქართულიდან, აფხაზთა მეფეების სიიდან, რომელიც შედგენილია ქართველი მეფის ბაგრატ მესამის მიერ. შემდეგ თაყაიშვილსავე ეკუთვნის წერილები: „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან". „ჟამ-გულანი" № 281 და № 342 და „მეფის გიორგის ძის დავით ბატონიშვილის ხელით ნაწერი ქრონოლოგიური ნუსხა".

მეოთხე განყოფილებაში შედის ეთნოგრაფიული წერილები: **ნიკო ჩიმაკაძისა, თ. მაგმაძისა, კ. დ. მალალაშვილისა, მ. ჯანაშვილისა** და **ვაჟა-ფშაველასი.** ნიკო ჩიმაკაძე ეხება სვანეთის ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას; მ. ჯანაშვილი—ინგილოურ ყოფა-ცხოვრებას, გრამატიკას და ბოლოს ჩართული აქვს ინგილოური ლექსიკონი. მესამე წერილი ეკუთვნის ჩვენს გამოჩენილ პოეტს **ვაჟა ფშაველას:** „ფშაველი და მისი წუთისოფელი". იგი, რასაკვირველია, დიდ ინტერეს წარმოადგენს, რადგან იგი ეკუთვნის ფშავების ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების საუკეთესო მცოდნე ვაჟას. ვაჟა-ფშაველას საუცხოვოდ შეუსრულებია ნაკისრი საქმე და პოეტურ მოთხრობაში ჩამოუყალიბებია თავისი შრომა. წერილის ბოლოში მას ჩართული აქვს ფშავლების ხალხური 46 ლექსი და 167 ანდაზა.

მეოთხევე განყოფილებაში მოთავსებულია კ. მალალაშვილის „გადმოცემა თამარ მეფის შესახებ" და თ. მაგმაძის „ზეპირთქმულებანი იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდგან".

მეხუთე განყოფილებაში მოთავსებულია ეთნოგრაფიული სახალხო პოეზია.

წიგნი, როგორც აღვნიშნეთ, მშვენიერად არის გამოცემული; წინასიტყვაობის გარდა, რომელიც ქართულსა რუსულსა და ფრანგულ ენებზეა დაწერილი, შეიცავს 750 გვერდსა და ღირს სულ 4 მანეთად.

მუშათა ცხოვრება

ბაქო.

◆ შიფრინის ქარხნის მუშებმა წარუდგინეს ადმინისტრაციას მოთხოვნილება და მუშაობა შესწყვიტეს.

◆ „გეფესტის" მექანიკურ და ჭის მთხრელ ქარხნის გაფიცულ 120 მუშებში მხოლოდ 24-მა მიიღო დაკმაყოფილება და შეუდგა მუშაობას, დანარჩენნი გაფიცვას განაგრძობენ.

◆ „ნავტალანის ნევთის სამრეწველო საზოგადოება"-სთან არსებულ ქვაბის სამჭედლოს გაფიცულმა მუშებმა დაკმაყოფილება მიიღეს და მუშაობას შეუდგნენ.

◆ ჰაჯი აბას ყული რზაევის სამრეწველოს მუშებმა მოთხოვნილება წარადგინეს და საპასუხოდ სამი დღის ვადა მისცეს ადმინისტრაციას.

◆ ძმ. რეზნიკოვების მექანიკურ ქარხნის მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას.

◆ პეტერსონის და ტერტერიანცის, აგრეთვე მინას ვართაპეტოვის მექანიკურ სახელოსნოების მუშებმა მუშაობის შეუწყვეტლად მოთხოვნილებანი წარუდგინეს სახელოსნოების პატრონებს.

◆ ზოგიერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გამო, მუშაობა დაიწყეს: აშურ-ბეკოვის, „რუსის საზ. ნავთის", სვეჩნიკოვის, ტარაევის და ფითოევის სამრეწველოების მუშებმა.

◆ ბიბი ეიბათში „ვულკანის" ჭის მთხრელ საზ. მუშებმა 260 კაცმა მოთხოვნილება წარადგინეს და გაიფიცნენ. აგრეთვე გაიფიცნენ „მავთულის თოკების ბაქოს საზოგადოების" მუშები, მამედ-სადიხ ჰასანოვის ცემენტის ქარხნის 145 მუშა; „ევროპიელთა ამხ." მექანიკური სახელოსნოს, ამხ. „სევერის" ოტოლენცის, ქვაბის სამჭედლო „ტეხნიკოსი"-ს და „ტერტერიანცის ნავთის მრეწველთა საზოგ". მუშები.

◆ ბიბი-ეიბათში რუსთა ნავთის მრეწველთა და ვაჭართა ამხ." 210 მუშა ზოგიერთ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ მუშაობას შეუდგა, მაგრამ შემდეგ ისევ გაი-

ფიცა და მიემხრო ნავთის სამრეწველოში მომუშავეთა მოთხოვნილებას.

◆ ასევე მოიქცნენ გრაფ ვორონცოვ დაშკოვის სამრეწველოშიაც, თუმცა მუშები თავდაპირველად დაკმაყოფილდნენ. გაფიცულთა რიცხვი 195 უდრის.

◆ დაიწყეს მუშაობა „მოსკოვ-ვოლგის ნავთის მრეწველთა საზ.“ მუშებმა, რადგანაც ზოგიერთი მოთხოვნილება დაუკმაყოფილეს.

◆ „პეტროლის“ ამხანაგობის სამრეწველოს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. თუმცა ადმინისტრაციამ ზოგიერთი მოთხოვნილება დაუკმაყოფილა, მაგრამ მუშები გაფიცვას მაინც განაგრძობენ.

◆ „ელექტრონის ძალის“ საქციონერო საზოგადოებაში მომუშავეებმა, ბიბი-ეიბათში, ბალახანაში შავ და თეთრ ქალაქში, დირექციას მოთხოვნილება წარუდგინეს. სხვათა შორის სთხოვენ ჯამაგირის მომატებას, ბინის ქირის დ. სხ. მომუშავეთა რიცხვი 200 კაცს უდრის. საპასუხო ვადათ 8 აგვისტო დაუნიშნავთ.

◆ ბაქოს პოლიცმეისტერის ცნობით ივლისში, ბაქოს ნავთის სამრეწველო რაიონში გაფიცულა სულ 4853 კაცი, აქედან მუშაობა მხოლოდ 815 კაცს დაუწყია.

◆ 3 აგვისტოს, სურახანში, „გალპერინის და ვეისის“ სამრეწველოში, ნავთით მოძრავის გადუღების დროს, ცეცხლი მოეკიდა გაზს, რის გამოც მთელი კანყოფილება დაიწვა და იქ მყოფი მუშებიც ორიჯან მირზოევი, ნიკ. კოზანკოვი და ჰასან-კიში-სოვგათ-ოღლი მძიმედ დაშავდნენ. მირზოევი გარდაიცვალა. ზარალი 3 ათას მანეთს უდრის.

◆ 3 აგვისტოს მუშა გიანიფა (გვარი არ იციან) ქიდობ წყალს იღებდა. ტანს გადაუძლევია, ჭაში ჩავარდნილა და დამხრჩვალა.

◆ „კასპიისა და შავის ზღვის საზ.“ მუშების სადგომში, რომანში, მუშათა შორის დავა მოხდა, რომელიც შემდეგ ჩხუბად გადაიქცა, რის დროსაც დაიჭრა უფროსი ყარაული ისმაილ ჯაფარ-ყული. დამნაშავენი მაჰმად-ჰაჯი-მაჰმად-ოღლი, მეშედი-აიუბ-მეშედი-ქიასიმ-ოღლი და მეშადი ბეჰბუდ-ქერბალაი-ასკერ-ოღლი დაჭერილნი არიან.

პეტერბურგი.

◆ პეტერბურგში კიდევ აცხადებენ გაფიცვებს მუშები. 2 აგვისტოს გაიფიცნენ ხე-ტყის სამრეწველოს ქარხნის მუშები და მოითხოვეს სამუშაო დღის ნახევარი დღით შემცირება.

◆ შვეცია ამერიკის საზოგადოების კანტორაში მომუშავეებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას.

◆ რუსეთის პირველ საფეიქრო მანქანათა მკეთებელ ქარხნის, სამღებრო განყოფილების მუშებმა უარი სთქვეს ზედმეტ მუშაობაზე. ამის გამო ქარხნის ადმინისტრაციამ ანგარიში გაუსწორა ყველა მღებარს.

◆ დაიწყო აგრეთვე გაფიცვები შპალერების სახელოსნოებში. მუშები თხოულობენ, მოკლე დროით დაქირავება მოისპოსო.

◆ გრძელდება გაფიცვა „ახალი აივაზის“ ქარხანაში, სამ ხის სამრეწველოთა ქარხანაში და 24 ბრინჯაოს სახელოსნოებში.

◆ 2 აგვისტოს განთავისუფლეს ნარვის მეორე საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფი ცვეტკოვი, რომელსაც პირველ მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდება. ამავე ბრალდებით დაჭერილნი, რომელნიც ამას წინად განთავისუფლეს, მიცემულნი არიან სამართალში პირველი მაისის დემონსტრაციის მოწყობისათვის.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო კომისიის დადგენილებით, კანტორაში მოსამსახურე ჰენრიკსონი გადასახლებულია 2 წლის ვადით.

◆ 2 აგვისტოს პეტერბურგში გაიმართა რამდენიმე კრება მუშებისა განსვენებულ ავგუსტ ბებელის ხსოვნის პატივსაცემად. მუშებისაგან, ზოგიერთ რედაქციებისაგან, თანაგრძნობის ს.-დემ. ფრაქციისაგან და ბევრი სხვა პირთაგან გაეგზავნა სათანაგრძნო დეპეშები გერმანიის სოც.-დემოკრატიას.

მოსკოვი.

◆ მხაილოვის სამანუფაქტურო ქარხანაში, სადაც კარგი ხანია გაფიცვა არის გამოცხადებული, განცხადება არის გაკრული, რომ ქარხანა იხურება გამოურკვეველ დრომდის და მოსამსახურეთ შეუძლიანთ ისარგებლონ თავისუფლებით.

◆ განშინის საფეიქრო ქარხნის გაფიცული მუშები გამოწვეულნი არიან ადმინისტრაციისაგან მოსალაპარაკებლად.

პოდოლსკი.

◆ ზინგერ და ამხ. მკერავ მანქანათა ქარხანაში გაფიცვა გათავდა. 150 გაფიცულ მუშას წინადადება მიეცათ გადასახლდნენ პოდოლსკიდან. დანარჩენი მუშები გამოიწვია ქარხნის ადმინისტრაციამ და მისცა წინადადება, რომ ვისაც ძველი პირობებით ჰსურს მუშაობა, ერთ მხარეს დადექით, ვისაც არა ჰსურს—მეორე მხარესაო. ძველი პირობებით მუშაობის უარმყოფელი მხოლოდ ერთი გამოჩენილა, რომელიც იქ წამსვე გაიძევებინათ ქარხნიდან. დანარჩენებს კი ქარხანამ გამოუცხადა ჩვენ თითონ მანეთზე 15 კ. გიმატებთო.

ბელასტოკი,

◆ გაიფიცულ ფეიქართა ნაწილმა ძველ პირობებში მუშაობა დაიწყო.

ნიკოლაევი.

◆ გაიფიცნენ ნავთსადგურზე მომუშავენი. მოთხოვნილება ეკონომიური ხასიათისაა.

ლოძი.

◆ პოზნანსკის საქციონერო ამხანაგობის სამანუფაქტურო ქარხნის მუშებმა ძველ პირობებში დაიწყეს მუშაობა. მუშაობას შეუდგა 2,000 კაცი.

მოწერილი ამბავი

ცხინვალი. წლეულს ცხინვალი ვერ დაემდურება ახალგაზდობას, უშინაარსო ცხოვრებას რათ ეწევითო. არა, ახალგაზდობამ საკმაო უნარი გამოიჩინა, რომ თავისი ზნეობრივი მოვალეობა რავდენადმე მაინც მოეხადნა. ჯერ იყო და აქ ჩამოსვლისთანავე დაარსეს „ახალგაზდათა წრე“, რომელმაც შეიმუშავა წესდება და სამოქმედო პროგრამა. მართალია, ამათ შემუშავებას ბევრს დროს ანდომებდა გამუდმებული დებატებით და კრებებით, მაგრამ ეს მხარე იმითი მაინც იყო საინტერესო, რომ მოქალაქეობის შეგნება შეჰქონდათ დამსწრეთა შორის.

ახალგაზდობის მოქმედება უწინარეს ყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ მან მოაწყო უფასო ლექციები, გასართობები. ამ მხრით აქაური კლუბიც დაეხმარა და კვირაში ორჯელი დაუთმო დღე მუქთად ლექციების საკითხად, ხოლო ბავშვების სალამოების გასამართად აგრეთვე ორი დღე. ახალგაზდობა ამითი ჰსარგებლობს და მთელს ზაფხულის განმავლობაში სისტემატიურად ასწრობს როგორც ლექციების კითხვას, ისე წარმოდგენებისა და გასართობ სანახაობათა მოწყობას.

ახალგაზდობას უკანასკნელ შრომად უნდა ჩაითვალოს ისეთი რთული პიესის დადგმა, როგორიც არის ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“. მაგრამ აქ არ შემიძლიან არ შევჩერდე პიესის აღმსრულებელთა შესახებ, ვინაიდან ესენი მუდამ სათავეში უდგნან ხოლმე ყოველ კულტურულ საქმეს. უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ პიესამ სასურველი ანსამბლით ჩაიარა. ქ-ნ ჰაიკანუშ ოვანოვის ასულმა დასძლია კრუჩინინის სული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალგაზ. და ქალი სცენის მშვენებად შეიქმნება, თუ კი ნიჭს უკვალოდ არ ჩააქრობს და მისცემს ფართო გზას განვითარებისას. ასევე შეიძლება ითქვას ბ-ნ მიხ. ხერხეულიძის შესახებ, ეს ახალგაზდა წინა წარმოდგენებშიც გვინახავს. ადგილობრივ ტიპებს საუცხოვოდ ასრულებს. მისი ნაკლი (აუცილებელი) ის არის, რომ საშინლად ჰბაძავს ვ. აბაშიძეს და გოცირიძეს. ვფიქრობ, ეს ყმაწვილი მარტო ადგილობრივ ტიპების შესაქმნელად დაბადებულა მეთქი, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც დავინახე, რომ იგივე ხერხეულიძე ევროპიულ როლებსაც ერთგვარის უნარით ასრულებს. თავის წლოვანებასთან შედარებით ამ ახალგაზდას დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული და მომავალიც მისი იქნება, თუ რომ თავს დასძლევს და დრამატიულ კურსებზე მხოლოდ მაშინ წავა, როდესაც ჩვენს გიმნაზიის დაასრულებს. მასში სჩანს აუცილებელი ნიჭი და კომიკის ცეცხლი, რომელიც უბრალოდ არ უნდა ჩააქროს.

დანარჩენ აღმსრულებელთა შესახებ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ყველანი სცდილან ანსამბლის შესაქმნელად. ცოცხალი, ცქვიტი შელიაკინისა დაგვიხატა ქ-ნმა ეკ. მაჩაბლის ასულმა. კარგი გაგჩიხა იყო ძარიამ ჯაფარიძის ასული, განსაკუთრებით ის სცენა, როდესაც კრუჩინინისა აცახცახებული ეკითხება თავის შვილის ამბავს, ის კი შერყეული სცდილობს წარსულის მოგონებას და რაიმე საჩუქარის მიღებას...

სუსტი ნეზმონოვი იყო გრ. ხერხეულიძე და მუხოვი—ბ-ნი მიხ. აბულაძე.

ბ-ნი ად. პეტუევი კარგი დუდუკინი იქნებოდა, რომ მონოტონურად არ გაება თავისი თხრობა.

საზოგადოდ პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მადლობის ღირსია ბ-ნი ზ. ე. მაჩაბელი, რომელმაც ძალღონე არ დაჰზოგა პიესის კარგა მოწყობაზე...

ახალგაზდობა ამ მოკლე ხანში აპირებს „სტუდენტების საღამოს“ გამართვას და ერთი პიესის დადგმას ჩვენი ავადმყოფ მგოსნის ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ. იმედია, ახალგაზდობა ენერგიას არ დაჰზოგავს ერთისა და მეორის კარგა მოსაწყობად, ხოლო თვით საზოგადოებაც თანაგრძნობით შეჰხვდება მას, როგორც რომ ღირსია.

დ. კ—ძე.

რუსეთი

სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრება.

კიევში გაიხსნა სრულიად რუსეთის კოოპერატიული კრება. კრების მონაწილეთა რიცხვი 1500 აღემატება. პოლიციის წარმომადგენლები მკაცრად ადევნებენ თვალყურს კრების მუშაობას და ხშირად სასაცილო შენიშვნებსაც აძლევენ. მაგალითად სასოფლო-სამეურნეო სექციაში ბოქაულმა მომხსენებელი შეაჩერა და შეჰნიშნა: „ეს მოხსენება კი არა ლექციააო“! სექციის თავმჯდომარემ შენიშვნის უადგილობა აღნიშნა და სტენოგრაფისტებს უთხრა: ეს შენიშვნა ოქმში შეიტანეთ. გუბერნატორი ყოველ დღე დეპეშით მოხსენებას უგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრების მუშაობის შესახებ. პოლიციის დეპარტამენტმა გუბერნატორს კრების შესახებ სპეციალური ინსტრუქცია გამოუგზავნა. მომხმარებელთა სექციაში, 2 აგვისტოს, სახელმწიფო სათათბიროს წევრმა პეტროვსკიმ ბებელის გარდაცვალების გამო სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ განსვენებული მთელი თავისი სიცოცხლე მუშაობდა არა მარტო პროლეტარიატის გასათავისუფლებლად, არამედ მთელი კაცობრიობისაო. პოლიციის წარმომადგენელმა მას სიტყვა შეაწყვეტინა და თავმჯდომარეს წინადადება მისცა, ლაპარაკის ნება აღარ მიეცა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პოლიციის მოთხოვნით ორატორს სიტყვას ართმევს. სექციის მონაწილეთა შორის გაისმა ძახილი „ადექით“. ყველანი ადგნენ და ამით განსვენებულის ხსოვნას პატივი სცეს. პოლიციელმა შენიშნა, რომ პირველ გაფრთხილებას აძლევს კრებას. საკრედიტო სექციაში დიდი გავლენა მოახდინა მღვდლის ალფეროვის მოხსენებამ: „შეუძლიანთ თუ არა საკრედიტო კოოპერატივებს მოაწყონ საკუთარი, მწარმოებელი დაწესებულებანი“. სექციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: შუამდგომლობა აღიძრას საკანონმდებლო პალატების წინაშე, რომ ცხოვრებაში გაიყვანონ კანონი, რომელიც კოოპერატივებს მიანიჭებს მოქმედების ფართო ასპარეზს თვითგასარკვევად და კავშირებად გაერთიანებისათვის.

მურომცევის საფლავზე ძეგლის აგების მოწინააღმდეგენი.

პირველ სახელმწიფო სათათბიროს განსვენებულის თავმჯდომარის მურომცევის საფლავზე ძეგლის აგების საკითხმა ამ ხანებში საოცარი ბოლო მიიღო. მოსკოვის სასინოდო კანტორამ სინოდს მოხსენება გაუგზავნა, სადაც აღნიშნა, რომ მურომცევის საფლავზე, „ნოვო დევიჩი“ მონასტრის სასაფლაოზე, ძეგლის აგება შეუძლებელია. კანტორის აზრით ასეთ ძეგლებს ადგილი უნდა ჰქონდეს ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე და არა სასაფლაოებზე. გარდა ამისა, მონასტრის სასაფლაოზე ს. ა. მურომცევის ოჯახობამ ადგილი გარდაცვალებულის დასასაფლავებლად იყიდა, და არა ძეგლის დასადგმელადაო. ამავე დროს კი მოსკოვის ეპარქიაში სინოდის ცირკულიარი დაჰგზავნეს, რომელშიაც ნაბრძანებია, რომ საშუალო და დაბალ სასწავლებლებში სერიოზული ყურადღება მიექცეს სამხედრო წესრიგისა და გიმნასტიკის სწავლის საქმეს?!.

ბალკანეთის მდგომარეობა

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

5 და 6 აგვისტო

ბელგრადი. დაბრუნებულმა რწმუნებულებმა ინახულეს რუსის ელჩი გარტვიგი და კიდევ ერთხელ გამოუცხადეს მადლობა რუსეთს, სერბიის დახმარებისათვის.

ბალონა. 8 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია გაემგზავრა რომსა და ვენაში და უნდა სთხოვოს იტალიასა და ავსტრიას არგიროკასტროს საკითხის ალბანელთათვის სასარგებლოდ გადაწყვეტა. იმავე დროს იქვე გაემგზავრნენ გარეშე საქმეთა და იუსტიციის მინისტრები იმავე საქმის სათხოვნელად.

სტამბოლი. „ტანინის“ ცნობით დედეაგაჩის მცხოვრებლებმა, ბულგარეთის სისასტიკით შეშინებულებმა, როდესაც გაიგეს, რომ ბუქარესტის ხელ-შეკრულებით ბერძნების ჯარი დედეაგაჩიდან უნდა წავიდესო, მიჰმართეს ბერძნების სარდალს და სთხოვეს ქალაქში დარჩენა. ამის გამო ბერძნების სარდალმა მიჰმართა ოსმალეთის სარდალს და სთხოვა დედეაგაჩში მცხოვრები ბერძნები და ოსმალები თავის მფარველობის ქვეშ მიეღო. ბერძნების ჯარის უფროსმა წინასწარ დანიშნა ვადა ბერძნებისაგან ქალაქის დატოვებისა და წინადადება მისცა ოსმალებს დაეჭირათ დედეაგაჩის მიდამოები. ჰფიქრობენ დედეაგაჩი ეხლა ოსმალების ხელში იქნებაო.

ლონდონი. მოვიდა ადრიანოპოლის მცხოვრებთა დეპუტაცია, რომელშიაც შედიან მაჰმადიანები, ბერძნები, სომეხი და ებრაელი. დეპუტაციას მიზნად აქვს იშუამდგომლოს, რომ ადრიანოპოლი ოსმალებს დარჩეთ. დეპუტაციის წევრების უმეტესობა ოსმალეთის იურისტები და ჟურნალისტები არიან.

სკოპლე. მთავრობამ ნება დართო ბულგარეთის ყოფილ მასწავლებელთ და მოხელეთ შევიდნენ სერბიის სამსახურში. უმრავლესობამ ისარგებლა ამ ნებართვით. 42 მასწავლებელი, საეგზარხოსო სამრევლო სკოლებში ნამსახურებნი, არ დარჩნენ და წავიდნენ ბულგარეთს. ბულგარეთის სამღვდელოება დარჩათავის ადგილას და თანხმობა განაცხადა აღიაროს სერბიის მიტროპოლიტის უფლება. მცხოვრებნი სრულიად დაწყნარებულნი არიან.

ბელგრადი. უცხო სახელმწიფოთა ელჩებმა განცხადება წარუდგინეს სერბიის მთავრობას შესახებ სერბიელთა ჯარისაგან ალბანეთის დატოვების საკითხისა.

სოფია. მინისტრთა საბჭომ საჭიროდ სცნო საზავო ხელშეკრულების უმაღლესად დამტკიცება. შესაფერ ბრძანებას მოელიან. შემოდგომის სესიაში ხელშეკრულება წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად. უმაღლესად დამტკიცებულ ხელშეკრულების გაცვლა-გამოცვლა ბუქარესტში მოხდება. მეოთხე ჯარის სარდალი იტყობინება, რომ ბერძნებმა სანამ პეხჩოვოდან წავიდოდნენ, ცეცხლი გაუჩინეს სოფ. როგოვოსს და თან წაიყვანეს 47 კაცი.

ბუქარესტი. გამოქვეყნებულია საზავო ხელშეკრულების უმაღლესად დამტკიცება. ხელშეკრულებათა გაცვლა-გამოცვლა მომავალ კვირაში მოხდება.

სალონიკი. საბერძნეთის საზღვაო მინისტრმა განუცხადა ათინის სააგენტოს კორესპონდენტს, რომ მას შემუშავებული აქვს გეგმა საბერძნეთის ფლოტის გაძლიერებისა, რომელიც ინგლისელებისაგან შემდგარ სატეხნიკო კომისიის შემწეობით განხორციელდება და ხელმძღვანელობა ადმირალ კერას მიენდობა. ოსმალეთის ფლოტის დამარცხება ახალმა გემებმა გამოიწვია და აგრეთვე ბერძენ მეზღვაურ ჯარის კაცის წარმატებამ, ოსმალელთან შედარებით.

ათინა. მეფე კონსტანტინეს ზარბაზნის სროლით და დიდი აღტაცებით მიეგებნენ. აგრეთვე აღტაცებით მიეგებნენ ადმირალ კუნდურიოტისს.

ვენა. დიპლომატიურ წყაროებიდან გაუგია „ნეიე-ფრეიე-პრესსა“, რომ ოსმალების წადილი—სამხრეთ ბულგარეთში შეჭრისა, დიდად აღელვებს დიდ სახელმწიფოებს. სახელმწიფოთა შორის ეხლა მოლაპარაკება არსებობს და ჰფიქრობენ მოსთხოვონ პორტას შეაჩერონ მოძრაობა ბულგარეთში.

პეტერბურგი. 5 აგვისტოს მოვიდა ადრიანოპოლის მცხოვრებთა დელეგაცია და იმავე დღეს მივიდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. იქ დელეგაცია მიიღო ახლო-აღმოსავლეთის განყოფილების უფროსმა თავადმა ტრუბეცკოიმ და განუცხადა მათ, რომ მათი ცნობები და მემორენდუმი მინისტრისათვის გადაცემული იქნება.

ათინა. ამ კვირის ბოლოს მოწვეული იქნება პარლამენტი ხელშეკრულების დასამტკიცებლად.

ბუქარესტი. ტონჩევმა, ვენიზელოსმა და პაშიჩმა დადებითად უპასუხეს მაიორესკუს შესახებ იმისა, რომ კუცევლახებს მიეცეთ სკოლისა და ეკლესიის ავტონომია და მოეწყოს რუმინიის საეპისკოპოსოები.

სოფია. საბერძნეთის მთავრობამ რუსეთის ელჩების შემწეობით აცნობა ბუქარესტში და სოფიაში, რომ დანიშნული იქნება საზღვრის გამმიჯნველი სამი კომისია, რომელნიც დემირგისარაში შეიკრიბებიან 9 აგვისტოს.

დედეაგაჩს, ქსანტას და გიუმიულჯინს ბერძნების ჯარი 9 აგვისტოს დასტოვებს.

სხვა და სხვა ამბავი

დეპუტატი ქალი მის ტუექსი.

1869 წელს უომინგის შტატმა ქალებს საარჩევნო უფლებები მიანიჭა. ცდა ძლიერ კარგი გამოდგა, ამ შტატის დეპუტატების პალატამ ეს დაამოწმა ამომრჩეველ ქალთა მიმართ მოწოდებაში; აღნიშნა რა, რომ ქალების საარჩევნო უფლების მინიჭებამ არამც თუ არ წაახდინა, არამედ ბევრ შემთხვევაში ძლიერ კარგი გავლენა იქონია:

„საკანონმდებლო მუშაობაში ქალების მონაწილეობამ დიდი სამსახური გაუწია ბოროტმოქმედებას და სხვა და სხვა ცუდი ზნის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ჩვენ სიამაყით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენ სოფლებში არ არის მათხოვრობა, საპყრობილეები თავისუფალია და ბოროტმოქმედები, გარდა უცხოელებისა, სრულიად არ მოგვეპოვება.

ამ ჟამად შტატის საყოველთაო ყურადღებას დეპუტატ ქალის ტუექსის მოღვაწეობა იპყრობს. იგი ენერგიულად მუშაობს სასკოლო რეფორმის საკითხზე; უკანასკნელ სესიის განმავლობაში მან ოცი კანონ-პროექტი შეიტანა, რომელთაგან უმრავლესობა მიღებულ იქმნა.

ბავშვების გაცვლის კავშირი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა საკითხი ბავშვების გაცვლის კავშირში რუსეთის შესვლის თაობაზე. ამ კავშირში უკვე შედის: ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია. კავშირის მოქმედება შემდეგში მდგომარეობს: ყოველ ოჯახს, რომელსაც ბავშვების გაცვლაში მონაწილეობის მიღება სურს, საგანგებო ბიუროში გადაწყვეტილი თანხა შეაქვს და აგრეთვე აცნობინებს დაწვრილებითს ცნობებს. მთელი ოჯახის შემადგენლობაზე, ცხოვრების პირობებზე, კულტურულ მდგომარეობაზე და სხვა. გარდა ამისა ბავშვის შესახებ: წლოვანება, ჯანსაღობა, გონებრივი განვითარება და სხვა. ამ ცნობების მიხედვით ბიურო არჩევს შესაფერ ოჯახს სხვა სახელმწიფოებში; ამის შემდეგ ორივე ოჯახი სცვლის ბავშვებს განსაზღვრულ დროის განმავლობაში, უმეტეს ნაწილად ერთის წლის განმავლობაში. ამის წყალობით ბავშვები თავისუფლად ითვისებენ უცხო ენებს, გარდა ამისა უცხო ოჯახში ყოფნას დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის მხრივ. უცხო პირობები ბავშვს აჩვევს საზოგადოებაში თავის დაჭერას, ზრდილობას და სხვა.

როგორც ამბობენ ბევრი წარჩინებული ოჯახია გატაცებული ამ იდეით და პირველ თავშივე აპირებენ კავშირის წევრებად ჩაწერას.

მე-XX საუკუნის ბავშვები.

ყაზანის გუბერნიაში შემდეგი საშინელება მოხდა. ქალაქ ჩისტოპოლის განაპირას მდებარე სოფლის ბავშვები ერთად თამაშობდნენ. ყველაზე უფროსი მათში 8 წლისა იყო, უმცროსები კი—ორისა. ორი ბავშვი ამათგან წაიჩხუბა, ჩხუბის დროს 8 წლის ნიკოლოზ პეჩორინმა თავისი უმცროსი მოპირდაპირე დაამარცხა და სცემა. ნაცემს მიეშველა მისი 8 წლის ძმა ივანე შაროვი, რომელმაც ჯიბიდან დანა ამოიღო პირველსავე დარტყმით წააქცია. მკვლელი ბავშვი იმდენად გამხეცდა, რომ მომაკვდავ ბავშვს კიდევ თერთმეტ ალაგას დასჭრა. როდესაც შაროვი შეიპყრეს და ჩვენება ჩამოართვეს, მან განაცხადა, რომ მხოლოდ ერთჯერ დაარტყა დანა. შემდეგ კი „ყვითელი ფერი დაავიწყდაო“, და მხოლოდ საღამოზე მოვიდა გონს.

ბეილისის საქმის გამო.

როგორც ვიცით პროფ. სიკორსკიმ სასამართლოს ექსპერტიზის დროს დაამოწმა მოკლულ იუშჩინსკის წვალება. ექიმების საერთაშორისო კრებაზე სასამართლო მედიცინისა და ფსიხიატრიის სექციების შეერთებულ კრებაზე კენიგსბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა შუპპემ პროფ. სიკორსკის ექსპერტიზა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. შუპპეს აზრს მიემხრნენ სექციების თავმჯდომარეებიც პროფ. გავრეი და ლიტმდრონი, აგრეთვე შეერთებულ კრების თავმჯდომარე ბროუნი. შეერთებულმა კრებამ საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო. მოსკოველ პროფესორმა ბაჟენოვმა რუსეთის ფსიხიატორების მხრივ განაცხადა, რომ იგი უარს ამბობენ სიკორსკის ექსპერტიზასთან რაიმე სოლიდრობაზე.

თეატრი და ხელოვნება

გორი. 27 ივლისს ავადმყოფ მგოსან იროდიონ ევდოშვილის სასარგებლოდ გაიმართა ქართული წარმოდგენა, ითამაშეს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“ და „მათიკო“ დასასრულ გაიმართა სალიტერატურო განყოფილება. წმინდა შემოსავალი დარჩა 113 მანეთი. მადლობის ღირსნი არიან ტყის უფროსი მიხ. მურვანიშვილი, ნ. გოცირიძე და აკ. სვანიშვილი.

6 აგვისტოს, ადგილობრივ მცხოვრებ გლეხებთათვის გაიმართა **უფასო წარმოდგენა.** წარმოდგენილი იყო ავქ. ცაგარლის „ციმბირელი“. მონაწილეობას ღებულობდნენ: ივ. გომელაური (მაზუთიანცი) სოფ. ტარუაშვილი (ციმბირელი) ნ. გოცირიძე (სტეფან მაკარიჩი) ანთელიძე (ნიკოლა) ბ. ბაქრაძე (დედა) ტაბელი (მამა) და ი. გრიშაშვილი (პეტუა). პიესას რეჟისორობდა კ. შათირიშვილი.

კვირას, 11 აგვისტოს **ქ. ფოთში.** ფოთის მომღერალთა გუნდი ბ-ნ ა. მეგრელიძის ლოტბარობით კონცერტს გამართავს. იმღერებენ ხალხურ სიმღერებს. გუნდი გამოწყობილი იქნება ნაციონალურ ტანისამოსში. გუნდი არსებობს წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებასთან.

ს. ქვემო-მაჩხაანი. 3 აგვისტოს ჩვენი მგოსნის **ირ. ევდოშვილის** სასარგებლოდ წარმოდგენა გაიმართა. წარმოდგენილი იქმნა სუმბათაშვილის „ღალატი“.

ფარდის ახდამდე სანდრო შანშიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მოკლე შინაარსი პიესისა.

მთლად პიესის გარეგნულ მოწყობას განაგებდა სტ. მ. ნადირაძე და ნაკისრი მოვალეობა პირნათლად შეასრულა.

წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. ავადმყოფ მგოსნის სასარგებლოდ წმინდა შემოსავალი დარჩა 60 მან. რომელდანიშნულებისამებრ იგზავნება.

დამსწრე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

5 და 6 აგვისტო.

უცხოეთი.

ზაგრები. მეფის კომისსარს სკერლეცს, საყდრიდან გამოსვლის დროს სტუდენტმა რევოლვერი ესროლა და დასჭრა. მსროლელი დაიჭირეს.

ვენა. გაზეთები ავრცელებენ ხმებს ერც ჰერცოგი ფრანც ფერდინანდი ინიშნება სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა გენერალ ინსპექტორადაო.

პარიზი. 4 აგვისტოს პუანკარე ოფიციალურად ეწვია ბარლედიუკს—სადაც პუანკარე დაბადებულა. 5 აგვისტოს ეწვია ომერსის—აქვანს მისი პოლიტიკურ მოღვაწეობისას. ყოველ სიტყვაში პუანკარე თავის პირად მოგონებათ შეეხო და აღნიშნა იმის თანამემამულეთა პატრიოტული გრძნობის სიმტკიცე. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა პუანკარეს.

ბუდაპესტი. კომისარის დაჭრა მოხდა საკრებულო ტაძრის წინ, რომელშიაც პარაკლისს იხდიდნენ იმპერატორ ფრანც-იოსების დაბადების გამო. ბოროტმოქმედმა გაარღვია პოლიცელ დარაჯთა რაზმი და სკერლეცს მარჯვენა ბეჭში დასჭრა ტყვიით. მან განაცხადა სტეფანე დოიჩის ვარო, 23 წლისა, ხორვატელი მღებარი არის. მისი სიტყვით იგი სულ რამდენიმე დღის წინად მოვიდა ამერიკიდან კომისარის მოკვლის განზრახვით.

25 50 16 50

თეირანი. მინისტრთა კაბინეტში სხვა და სხვა მინისტრთა შორის მომხდარ უთანხმოებები, შინაგან საქმეთა მინისტრის სამსახურიდან წასვლა, საგარეო საქმეთა მინისტრის რამდენიმე თვის არ ყოლა აგრეთვე სამხედრო მინისტრის უყოლობა—აქარწყლებენ კაბინეტის მუშაობას.

ვენა. გამოქვეყნებულია ბრძანება იმპერატორი ფრანც-იოსების, რომლითაც იგი ერცჰერცოგს ფრანც-ფერდინანდის ნიშნავს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალათა გენერალ ინსპექტორად დ ავალებს დიდ სამმო ვრიჯიშობის ხელმძღვანელობას.

მაკაო. ამოვარდა საშინელი გრიგალი. გადალეკა დამბა, დაანგრია ბევრი სადგომი. ბევრი დაიხრჩო.

ვენა. გვარდიის ჯარის სადგომებში ხელზე მოსამსახურე ჯარის კაცმა რევოლვერი ესროლა მხედარსა და მასთან სტუმრად მოსულ მანდილოსანს. მანდილოსანი იქვე მოკვდა, მხედარი მძიმედ დაიჭრა. სროლის ხმაზე მოვარდა კონდუქტორი, ჯარის კაცმა ისიც დასჭრა. შეშინებული კონდუქტორი ფანჯრიდან გადახტა და დაიმსხვრა. ჰფიქრობენ ჯარისკაცი ჭკუაზე შეირყაო.

კომოტაუ (ჩეხია). ჩეხიაში მცხოვრებ გერმანელთა რწმუნებულების კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: „ჩეხიაში მცხოვრები გერმანელები, მოელიან გერმანელთა ეროვნულ კავშირისაგან ენერგიულ მოქმედებას იმ აზრით, რომ იგი გამოეთიშება ეხლანდელ მთავრობის უმრავლესობას, ვიდრე უკანასკნელი არ შეასრულებს ჩეხიის სამართლიან მოთხოვნილებას. ჩეხიაში მცხოვრები გერმანელები იმედოვნებენ, რომ ჩეხიის გერმანელთა დეპუტატები ყოველ შემთხვევაში დაიჭერენ მკაცრ ოპოზიციას“. შემდეგ მიღებულია ფორმულა, რომლითაც ეხლანდელი პოლიტიკა სასიამოვნოთ არ მიაჩნიათ.

გონკონგი. სალამოთი გადაიარა საშინელმა გრიგალმა, რომელიც საათში 105 მილს გადიოდა. დაიღუპა ჩინეთის ბევრი გემები.

პარიზი. გამოქვეყნებულია ბრძანება, რომლითაც დელკასე ინიშნება საფრანგეთის ელჩად პეტერბურგში.

ტეტუანი. არეაიზას ჯარმა დაიჭირა ასკვას მიდამოები. ესპანელებს მოუკლეს 5 კაცი.

ბუდაპესტი. 6 აგვისტოს მოხდა დუელი ტისასა და პალავიჩინის შორის. უკანასკნელი აბრალებდა ტისას, რომ მან გავლენა მოახდინა დეზისა და ლუკიჩის საქმისათვის მოწვეულ მოწმეებზეო. ტისამ კი ამ ბრალდებას სიცრუე უწოდა

ტოკიო. ჩინეთის შემსწავლელ საზოგადოებათა კავშირმა სთხოვა პოლიტიკურ პარტიებს გამოსთქვან თავთავისი აზრი შესახებ მანჯურიისა და მონგოლეთის საკითხებისა. ყველა პარტია გაექცა ამის პასუხს, მხოლოდ ერთმა სეიუკაიმ უპასუხა, რომ მისი აზრით მოუხერხებელია, რომ ამის შესახებ პირველად იაპონიამ დაიწყოს ლაპარაკი. მიუხედავად ამისა პარტია ხელს შეუწყობს მთავრობას ამ საკითხების გადაწყვეტის დროს.

შანჰაი. ნანკინიდან იტყობინებიან, რომ იქ ომი გრძელდება. მიუხედავად მოსულ დამხმარე ჯარისა რევოლუციონერებმა მოიგერიეს მთავრობის ჯარის იერიში და გარეკეს ჩრდილოელნი, მიუხედავად ძალთა განაწილების თანასწორობისა ხმები დადის, რომ მოლაპარაკება არის გამართული ნანკინის დათმობის შესახებაი. შანჰაიში მყუდროობა.

თეირანი. მოლხომერის მახლობლად არაბები თავს დაეცნენ და დასჭრეს ბელგიელნი, ტამოჟნის დირექტორი ფურმანი და სატამოჟნო გემის უფროსი დეპირი.

ნიო იორკი. ალიასკის მახლობლად დაიღუპა გემი „სტეიტოფ კალიფორნია“. დაიღუპა 52 კაცი.

ვენა. მხედარი ეიზენკოლბი, ხელზე მოსამსახურე ჯარის კაცისაგან დაჭრილი, გარდაიცვალა.

ზაგრები. დაჭრილ სკერლეცს იმპერატორმა თანაგრძნობის დეპეშა გამოუგზავნა. სკერლეცის მდგომარეობა საკმაყოფილოა. ბოროტგანმზრახველის ძმა, კაფეს მზარეული, სამართალშია მიცემული, როგორც თანამონაწილე.

მექსიკა. დინამიტის აფეთქების გამო ტაკუბაიაში დაინგრა სახლები. იპოვეს 35 ცხედარი, ბევრი დაჭრილნი არიან, მათ შორის უმრავლესობა ქალები და ბავშვებია.

ვაშინგტონი. მექსიკის საქმეებში რწმუნებული დეპეშით იტყობინება, რომ ხუერტამ უარჰყო ვითომ მას შეერთებულ შტატებისათვის ულტიმატუმი წარედგინოს მისი მთავრობის ასაღიარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტების დაბრუნებით დაქადნებოდეს. ბრაიანმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატების წინადადება რევოლუციის მშვიდობიანად გათავებისა უარყოფილია. მთავრობის ზრუნვას შეადგენს მოქალაქეთა უზრუნველ ყოფა და ეს კი საუკეთესოდ შესრულებული იქნება, თუ მექსიკაში მცხოვრები მოქალაქენი დაბრუნდებიან შეერთებულ შტატებში. შეუძლებელია წამოსვლისათვის ფული მიეცეს მათ.

რუსეთი

პეტერბურგი. დაიჭირეს გაზ. „რუსკაია მოლვა“ № 232, რომელშიაც მოთავსებული იყო სტატია „დამახშობელნი სულისა“. დაიჭირეს „სევერნაია პრავდა“ № 4. რედაქტორი სამართალშია მიცემული 129 მუხ. ძალით. ჟურნალი „ზავეტი“ დაჯარიმებულია 300 მან. „რუსკაია მოლვა“ 500 მან

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ახალი პროგრამა ვაჟთა გიმნაზიებში რუსეთისა და საყოველთაო ისტორიის სწავლებისა.

მიწათ-მომწყობი უწყება ითხოვს 1913 წ. ტბების დასაშრობად, მორწყვისათვის და წყლის გადაყვანისათვის 11 მილ. მან.

მოსკოვი. დაიჭირეს გაზ. „უტრო როსიი“ № 178. რედაქტორი დააჯარიმეს 500 მან. და სამართალში მისცეს 129 და 1034 მუხ. ძალით.

პეტერბურგი. მოვიდნენ საქალაქო დაწესებულებათა დასათვალიერებლად იაპონიის პარლამენტის წევრი სიმეტსუ და ტოკიოს წარმომადგენელი ფუკუდა.

ოდესა. ბულგარეთის მიტროპოლიტი ავქსენტი მონასტრელი და ბორის ორხიდელი, რომელნიც კიპრიანეს მონასტერში იმყოფებოდნენ, წავიდნენ ბულგარეთს.

ნიკოლაევსკი (ზღვის ნაპირა) მოვიდა ჩაით დატვირთული გემი „ნიკოლაი ბელოცვეტოვი“, რომელიც ხანკოუდან შანჰაიში მდინარე იანცზიცზიანით მიდიოდა და გზაში ხარბაზნების სროლით შეაჩერეს. ამის გამო იგი იძულებული გახდარა არჩეული გზა მიეტოვებინა და მდინარის ჩრდილო შტოს დასდგომოდა. ხარბაზნებს გემი არ დაუშავებია.

ვიატკა. დაიწვა ვახრუშევის ტყავის სამრეწველო ქარხანა. ზარალი ძალიან დიდია.

ბოდაიბო. მოვიდა ირკუტსკის გუბერნატორი ლენის ოქროს სამრეწველოს რაიონის დასათვალიერებლად. აქედან შორეულ ტაიგას გაემგზავრა. უნდა თითონ დაათვალიეროს ის მიდამოები, სადაც გაყვანილი უნდა იქნეს გზა ვერნიდან მაჩამდის 300 ვერსის მანძილზე.

პეტერბურგი. მიმდინარე წელს სასწავლებლებიდან მხედრებად გამოშვებულნი არიან 2893 კაცი.

კიევი. დაიხურა ესპერანტოს ენაზე მოლაპარაკეთა კრება. კრებამ დაადგინა: დაარსოს მუდმივი კომისია, რომელმაც უნდა აცნობოს ხოლმე პრესას ესპერანტოს ენაზე მოლაპარაკეთა ცხოვრების ამბები. მოაწყოს რუსეთში ესპერანტოს ენაზე მოლაპარაკეთა საზოგადოება, რომელმაც პრესას თანამშრომელნი უნდა მიაწოდოს, მოაწყოს ესპერანტოს ენაზე მოლაპარაკეთა სექციები ადგილობრივ კრებებზე და გამოფენებზე და დაარსოს კიევის ესპერანტოს ენაზე მოლაპარაკეთა საზოგადოებასთან ცნობათა მიმცემი ბიურო.

სარატოვი. საგუბერნიო სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ საჭიროდ სცნო ჭირთან საბრძოლველად გასწყვიტოს ქალაქში ვირთაგვები და საქალაქო საბაქტერიოლოგო სადგურისათვის თანხას თხოულობს.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. თ. დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილმა—სოფელ იყალთოს მიწაში ნაპოვნი სამი სპილენძის თეფში. ერთს აწერია მხედრულად: „ქ. ელენე დედოფლისა“, მეორეს მხედრულადვე—„ქ. ჩოლაყაშვილი ნიკოლოზისა“. და მესამეს სომხურად—„გრიგორ“. ეს თეფშები ჩვენს საზოგადოებას გიორგი სვიმონის ძემ ნახუცრიშვილმა გადმოსცა.

2 თავ. ვასილ ალექსანდრეს ძე თარხნიშვილმა—ხუთასზე მეტი სხვადასხვა წერილები და საბუთები.

3) პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა—არმაზის მახლობლად მარტაზის ხევში ნანგრევებში ნაპოვნი მილანქრიანი ქართული აგური და ჩუქურთმა ლიტოგრაფიის ქვაზე.

4) თავ. დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილმა: ა) „სირინოზიანი“. მხედრული ხელნაწერი, (დაფურცლულია) ბ) „ბარამიანი“, მხედრული ხელნაწერი (აკლია 25 35 ფურცელი), გ) „ყარამნიანი“, მხედრული ხელნაწერი (ნაკლული), დ) „ორიდანა“ (რომანი ალექსანდრე დიუმასი) თარგმანი ალექსანდრე მარჯანოვისა და ე) „რუსუდანიანი“, მხედრული ხელნაწერი (ნაწილი).

5) პეტრე მიხეილის ძემ გერმიბაშვილმა: ტყავზე ნაწერი იოანე ოქროპირის წირვის წესი (ლიტურღია), ხუცური.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით)

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ტელეთამდე: № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სახ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეებით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4:3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 11 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“.
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღლინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ძ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. სადამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ექიმი ა. ზ. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

შპალიერების
МАГАЗИНЪ М. Л. ТЕРЪ-КАРАПЕТЯНЦА ОБОЕВЪ
სპეციალური მაღაზია
მ. ლ. ტერ-კარაპეტიანცისა,
ახლად გახსნილი (პუშკინის ქ., თამამშევის ქარვასლა).
ახლად მიღებულია საქონელი სხვა და სხვა **რუსეთის, პოლონეთის და ფინლანდიის** ცნობილ ფაბრიკებიდან. თოფი 8 კ.-დან დაწყებული და უფრო ძვირად ზომით (11¼ არშინ.) გაყიდვა ნაჭრობით და ერთბაშად შეკვეთილ საქმის ასრულება სწრაფად და სუფთად.
1414

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქიტკა).
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და
კონსერვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ოქროს მედალი
Золотая медаль.
ოქროს მედალი
Золотая медаль
ПОХВАЛЬНЫЙ ОТЗЫВЪ за ВСЕРОССИЙСКУЮ ВЫСТАВКУ
въ Н.НОВГОРОДѢ въ 1896 г.
შპალიერი
მოსკოვის საქარხნო საწყობისა
ვლადიმერ ალპატოვისა
GRAHD-PRIX
ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ.
1393

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით
სამკურნალო
ხრესილი
ხრესილი
აბანო
მეცრფასხი მთის ჭაერზე
ძმ. ჟორჟოლაძეების
აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას
1385

საბუღალტერიო და საკანცელარიო ცოდნათა
კურსები
არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის (მე-XIV წ. არს. შემ.).
კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა დ სხვა ნაწილის შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფისა დ მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭვდას, **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, სალამოობით. **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 ს.—1 საათამდე.
1420

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო სასმელი და ჯანმრთელობისათვის მარგებელი საამური გემოსი და სურნელების ხილეული, სამკურნალო და მინერალური
წყალი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანია უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით;**
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411.
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.
1214

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი წიგნები:

თხზულ. აკაკისა	ტ. 1,	1 მ.
,, ,,	ტ. 2-ე,	1 მ.
,, ალ. ყაზბეგისა		3 მ. 50კ
,, რ. ერისთავისა	ტ 1,	1 მ.
,, ,,	ტ. 2-ე,	40 კ.
,, შ. არაგვისპირელისა	წ. 1,	50 ,,
,, ,,	წ. 2-ე,	40 ,,
,, ,,	წ. 3-ე,	40 ,,
,, ,,	წ. 4-ე,	50 ,,
,, ,, შიო თავადი,		60 ,,
,, დ. კლდიაშვილისა	ტ. 1,	75 ,,
,, ,,	ტ. 2-ე,	75 ,,
,, გ. წერეთლისა	ტ. 1,	60 ,,
,, ,,	ტ 2-ე,	60 ,,
,, ეკ. გაბაშვილისა	ტ. 1	1—20 ,,
,, დ. მეგრელისა	ტ. 1,	70 ,,
,, ,,	ტ. 2-ე,	70 ,,

ახლად მიღებული წიგნები:

როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედ. დაწესებულება, ა. მ. კახელაძისა	10 ,,
ვეფხის-ტყაოსნის შედგენილობა, დ. კარიჭაშვილისა,	5 ,,
ძველი საქართველო	4 მ.— ,,
Изъ лингвист. поѣздки въ Абхазію, Марра,	50 ,,
Очерки по этнологіи Кавказа, Чурсина	60 ,,

სარგის კაკაბაძე.

ბაგრატ მეფე, მე-15 ს. რაჭა-არაგვეთის მფლობელი,	10 ,,
ბაგრატ უცნობი მე-14 საუკ. რაჭა-არაგვეთის მფლობელი	10 ,,
სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი, 1488 წ.	10 ,,
ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი?	20 ,,
მე-13 საუკ. პირვ. ნახევრის საქართველოს კათალიკოზები	10 ,,
თმოგველთა ვარის ისტორიისათვის	15 ,,
დავით აღმაშენ. მემატიანის ვინაობა	10 ,,
სამართ. კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო,	10 ,,
ძეგლის დადება გიორგ. ბრწყ. მიერ	20 ,,
თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა	1—20 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

საბუღალტრო კურსები
გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი
სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,
რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**
მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.**
1413

სორაპანის გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად, მეოთხე ახალი გამოცემა, სახელმძღვანელო წიგნი, ნაწილი პირველი
„ქართველი მწერლები“
შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. **ფასი 80 კაპ.**
ამ წიგნის მეორე გამოცემა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებლებში სახმარებლად ნება-დართულია.
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მეორე ნაწილი სახელმძღვანელო წიგნი „ქართველი მწერლები“ ფ. 1 მან. 30 კაპ.
პარტიობით მყიდველებს შეუძლიანთ მოითხოვონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ Типографія „Сорапань“, ანუ ქართველთა შორის წერა-კ. თხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას ქ. ტფილისში.
1417

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის
„პატოკსან“.
„პატოკსან“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.
„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
„პატოკსან“ ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუმჯობესოს და ღლიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.
„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.
ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“.
1384.

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.